საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №763
2016 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №993 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №993 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 31/12/2013, სარეგისტრაციო კოდი: 140030000.22.034.016244) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-9 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) „ე^{1}“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „უ^{1}“ ქვეპუნქტი:

„უ^{1}) ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მინების დამუქების, ასევე სპეციალური სიგნალებისა და სპეციალური შეფერილობების დაყენება-გამოყენების საკითხის განხილვას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი თანხმობის გაცემას;“.

3. მე-11 მუხლი ამოღებულ იქნეს.

4. 14^{1} მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრი — **გიორგი მღებრიშვილი**